

ახალი საპენსიო რეფორმის უქ-ჩრდილები საქართველოში

ADVANTAGES AND DISADVANTAGES OF NEW PENSION REFORM IN GEORGIA

ლამარა ჟოჯიაური,

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის
ნამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ბათუმი, საქართველო

LAMARA JOQIAURI,

Doctor of Economics, Professor. Leading
Scientist- Collaborator of the Institute
of Economic Researches, Batumi, Georgia

ანოტაცია

სტატიაში განხილულია დაგროვებითი საპენსიო სისტემაზე გადასვლის წინაპირობები, მისი განხორციელების აუცილებლობა და შესაძლებლობები ჩვენს ქვეყანაში. გადმოცემულია საპენსიო უზრუნველყოფის მსოფლიოში მიღებული მნიშვნელოვანი მოდელები, კერძოდ: ტრადიციული-სოლიდარული ანუ სოციალური საპენსიო მოდელი; დაგროვებით პრინციპზე დაყრდნობით ანუ ინდივიდუალური ხასიათის მოდელი. შრომაში ძირითადი აქცენტი გამახვილებულია დაგროვებითი საპენსიო სისტემის კონცეფციებზე; წარმოდგენილია საქართველოში მისი განხორციელების სქემა, მოდელირებული პენსიების ძირითადი დაშვებები. შესწავლილი თეორიული და პრაქტიკული მასალის განზოგადების საფუძველზე აქვე წარმოდგენილია დადებითი და უარყოფითი მოსაზრებები მიმდინარე საპენსიო რეფორმის შესახებ, მოცემულია დაგროვების სოციალურ-ლიბერალური საპენსიო მოდელის დანერგვის ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: დაგროვებითი პენსია, პენსია, საპენსიო მოდელი, საპენსიო რეფორმა, ინფლაცია, სოციალური ფონი, კონსერვატიული მოდელი, შერეული მოდელი, დანაზოგი.

ABSTRACT

In the article it is discussed preconditions of moving to accumulating pension system, the necessity and possibilities of its fulfilling in Georgia. The article presents important models about providing pension adopted in the world; traditional – solidary or social-pension model; based on accumulating principle or model of individual character. In the article it is highlighted conception of accumulating pension system; its fulfilling scheme in Georgia, main allowances of modelled pensions. On the basis of generalization of studied theoretical and practical material the work shows positive and negative opinions about current pension reform. It is analyzed inculcation of social-liberal pension model.

Key words: accumulating pension, pension, pension model, pension reform, inflation, social background, conservative model, mixed model, savings.

1. შესავალი

ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საპენსიო რეფორმის განხორციელება დაიწყო. მისი უმთავრესი მიზანია პენსიონერების ღირსეული ფინანსური სიბერით უზრუნველყოფა და ეკონომიკური მხარდაჭერა საჭირო დროს ფინანსური ინვესტიციების განხორციელებით. ვინაიდან მისი მოქმედების შედეგებს ქვეყნის მოსახლეობა და ეკონომიკა ათწლეულების შემდეგ იგრძნობს, აღნიშნული საკითხის შესწავლა, მისი გატარების უქ-ჩრდილების გაანალიზება მეტად აქტუალურია.

როგორც ცნობილია, რეფორმაში მონაწილეობა 40 წლამდე მოქალაქეებისათვის სავალდებულოა. აღნიშნული გარემოება ეკონომისტებში პოლემიკის საგანი გახდა, თუმცა ხაზგასასმელია, რომ მსგავსი კომპონენტი აღმოსავლეთ ევროპაში განხორციელებულ სხვა საპენსიო მოდელებშიც გვხვდება. ლიტვასა და პოლონეთში 30 წლამდე პირებისათვის არის დაზოგვა სავალდებულო, შედარებით მაღალია ბულგარეთში, სადაც ასაკობრივი ცენზი 42 წლია.

ძირითადი არგუმენტი, თუ რატომ უნდა იყოს დაზოგვა გარკვეულ ასაკამდე სავალდებულო, გამომდინარეობს მომავალზე ორიენტირებული მიდგომიდან, რომ ახალი თაობა მომავალში რაც შეიძლება ნაკლებად იყოს დამოკიდებული სოლიდარულ საპენსიო სისტემაზე და მათი საკუთარი პენსიის უზრუნველყოფა თავად შეძლონ.

არსებული საპენსიო სისტემის და დაგეგმილი რეფორმის ეფექტიანობის შესაფასებლად გავეცანით ევროპის ზოგიერთი ქვეყნის საპენსიო სისტემებს, საპენსიო რეფორმის სქემას, რა შემთხვევაში და როგორი პრინციპით მიიღებენ მოქალაქეები დაზოგვით თანხებს; სტატიაში გა-

მახვილებულია ყურადღება საპენსიო რეფორმის მომზადების, გატარებისა და მოსალოდნელი შედეგების დადებით და უარყოფით მხარეებზე; სტატისტიკაზე მუშაობის პროცესში ფართოდ გამოვიყენეთ ქართული ეკონომიკური ლიტერატურის უახლესი მასალები დაგროვებითი საპენსიო რეფორმის მომზადების, გატარების და შესაძლო შედეგების შესახებ.

1. ძირითადი ნაწილი

2.1 დაგროვებითი პენსია საქართველოში, ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სისტემაზე გადასვლა ხორციელდება. ამაზე საუბარი ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დაიწყო, თუმცა დღესდღეობით ის უკვე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტში - საქართველო 2020-ში არის ასახული. მნიშვნელოვანია, თითოეულ ჩვენგანს ნათლად ჰქონდეს გაცნობიერებული, რას გულისხმობს დაგეგმილი რეფორმა და მოგვიტანს თუ არა ის რეალურ კეთილდღეობასა და უზრუნველ სიბერეს. ამ თემაზე შესაძლოა მრავალი სტატია ან ბლოგი ვნახოთ, თუმცა მათი უმრავლესობა ვინრო პროფესიულ ჯგუფზეა გათვლილი და არა მოქალაქეთა დიდ ნაწილზე [სუბელიანი ა. 2018].

იმისთვის, რომ გავაანალიზოთ არსებული საპენსიო სისტემა და დაგეგმილი რეფორმის ეფექტიანობა, მნიშვნელოვანია ვიცნობდეთ იმ მოდელებს, რომელთა მიხედვითაც უზრუნველყოფილია პენსია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. თითოეულ ქვეყანას საპენსიო უზრუნველყოფის განსხვავებული სისტემა აქვს, თუმცა მათი უმრავლესობა შეგვიძლია სამ ძირითად კატეგორიაში გავაერთიანოთ. **პირველი**, ტრადიციული მოდელი ჩვენთვის ყველაზე მეტად ნაცნობია. მას სხვადასხვა წყაროში მოიხსენიებენ როგორც სოლიდარულ და ასევე, როგორც სოციალურ საპენსიო სისტემას. ეს მოდელი გულისხმობს შრომის ბაზარზე მყოფი მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადებიდან საპენსიო ხარჯების უზრუნველყოფას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანები, რომლებიც ვმუშაობთ და ვიბეგრებით, ავტომატურად ვარჩენთ ქვეყნის ასაკოვან მოსახლეობას. საქართველოში, შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე, არსებული სისტემა მიმართულია მოხუცებულთათვის მხოლოდ მინიმალური სოციალური დახმარების აღმოჩენისკენ და ვერ უზრუნველყოფს მათ რეალურ კეთილდღეობას.

ტრადიციული საპენსიო მოდელის პრობლემატურობაზე საუბარი 90-იან წლებში დაიწყო. ამ მხრივ პირველი სიღრმისეული ანალიზი 1994 წელს წარმოადგინა მსოფლიო ბანკმა პუბლიკაციაში *Averting The Old Age Crisis: Policies to Protect the Old and Promote Growth*. ამავე ნაშრომში დაისვა საკითხი არსებული სისტემის რეფორმირების აუცილებლობასთან დაკავშირებით. მას შემდეგ არაერთმა ქვეყანამ განახორციელა საპენსიო რეფორმა. შესაბამისი ცვლილებები საქართველოშიც სწორედ მსოფლიო ბანკის რეკომენდაციის საფუძველზე და მისი მხარდაჭერით იგეგმება.

დღეს არსებული, ტრადიციული მოდელის კრიტიკისთვის ადგილობრივ დონეზე გამოდგება ის არგუმენტიც, რომ თანაფარდობა შრომისუნარიან მოსახლეობასა და პენსიონერებს შორის დღით-დღე იცვლება. ყოველწლიურად იზრდება პენსიონერების რაოდენობა და გაეროს პროგნოზების გათვალისწინებით, საქართველოში ეს რიცხვი 2030 წლისთვის დაახლოებით მილიონს მიაღწევს, 2050 წლისთვის კი მოსახლეობის მეოთხედს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ რამდენიმე ათწლეულში არსებული მოდელით პენსიონერთა უზრუნველყოფა მხოლოდ საბიუჯეტო სახსრებით ყველაზე "გულუბნა" მთავრობასაც კი ძალიან გაუჭირდება.

გასათვალისწინებელია, რომ პენსიის ზრდა არათუ კეთილდღეობის ზრდისთვის, არამედ მისი შენარჩუნებისთვისაც კი აუცილებელია – მზარდი ინფლაციის (ფულის გაუფასურების) პარალელურად, საჭიროა მსყიდველუნარიანობის შენარჩუნებაზე ზრუნვა. მარტივად რომ ვთქვათ, წლებანდელი 100 ლარი საგრძნობლად ნაკლებია შარშანდელ 100 ლარზე, მომავალ წელს კი ამ თანხით, სავარაუდოდ, კიდევ უფრო ნაკლები პროდუქტის შეძენას შევძლებთ. პენსიის ფაქტობრივი მატება ხშირად მის რეალურ მატებას და ზოგჯერ შენარჩუნებასაც კი არ ნიშნავს. თუკი საპენსიო უზრუნველყოფა არსებული მოდელით გაგრძელდება, პენსიონერების რაოდენობის ზრდასთან ერთად, რამდენიმე წლის შემდეგ პენსიის მატება, დიდი ალბათობით, შეუძლებელი გახდება. ცხოვრების შეცვლილ პირობებთან პენსიის ადეკვატურობა უზრუნველყოფილი ვერ იქნება, რაც პენსიონერთა კეთილდღეობის კიდევ უფრო შემცირებას გამოიწვევს. ასეთი სცენარის საშიშროება მით უფრო იზრდება შენელებული ეკონომიკური ზრდის ფონზე, რომელიც წელიწადში რამდენიმე პროცენტსაც ვეღარ აღწევს.

ამასთანავე, საპენსიო უზრუნველყოფის მხოლოდ სახელმწიფო სექტორის გადასაწყვეტ

პრობლემად დატოვება სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მნიშვნელოვან ტვირთს ნიშნავს და ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან გაუმართლებელი და საზიანო სახელმწიფო ვალების აღების) საფრთხეს შეიცავს.

საპენსიო უზრუნველყოფის არსებული სისტემის ალტერნატივაა **დაგროვებით პრინციპზე დამყარებული მოდელი**, რომელიც მოქალაქის მიერ პენსიის ინდივიდუალურ დაგროვებას გულისხმობს. წინა მოდელისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში შრომისუნარიანი ადამიანი, რომელიც იბეგრება, აცნობიერებს, რომ მას წვლილი შეაქვს საკუთარი უზრუნველი სიბერის დაგეგმვაში. შესაბამისად, მას პენსია განესაზღვრება იმის მიხედვით, თუ ცხოვრების განმავლობაში რამდენი იმუშავა, რა რაოდენობის იყო მისი ანაზღაურება და ამ ანაზღაურების რა წილი შეჰქონდა საპენსიო ფონდში.

ერთი შეხედვით, ჩანს, რომ აღნიშნული მოდელი ბევრად უფრო სამართლიანია, რადგან ის ითვალისწინებს ინდივიდუალურ ფაქტორებს – წვლილს, რომელიც ადამიანმა შეიტანა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. რაც მთავარია, ამ შემთხვევაში ადამიანის სიბერე ნაკლებად არის დამოკიდებული კონკრეტული მთავრობის ხედვასა და შეფასებაზე პენსიის ოდენობასთან დაკავშირებით. თუმცა სისტემის გარეთ რჩება ადამიანი, რომელიც ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე ვერ მოხვდა შრომით ბაზარზე და, შესაბამისად, მას არც პენსიის დაგროვების შესაძლებლობა მისცემია.

ბუნებრივია, რომ დაგროვებით მოდელზე გადასვლა მარტივად ვერ მოხერხდება და რომ გარდამავალ ეტაპზე მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად მოხდეს არსებული რისკების დაზღვევა. სწორედ ამის გათვალისწინებით, ოპტიმალურად შეიძლება მივიჩნიოთ **საპენსიო უზრუნველყოფის შერეული მოდელი**, რომელიც გულისხმობს პენსიის უზრუნველყოფას როგორც საბიუჯეტო სახსრებიდან, ასევე დაგროვებითი მექანიზმებით. როგორც ჩანს, საქართველოში დაგეგმილი საპენსიო რეფორმა სწორედ აღნიშნულ მოდელზე გადასვლას გულისხმობს. საპენსიო რეფორმის სამსახურის უფროსის, ოთარ ძიძიკაშვილის განმარტებით, ახალ მოდელზე გადასვლა, შენატანების ნაწილში, უნდა დაწყებულიყო 2017 წლიდან, რაც, თავის მხრივ, ახალი თაობის პენსიონერების პენსიაზე დაახლოებით 20 წლის შემდეგ აისახებოდა.

ახალი მოდელი გულისხმობს სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო

ბიუჯეტში კვლავ 20%-ის გადახდას, საიდანაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს ვალდებულებას, 2% მიმართოს პირის დაგროვებითი ანგარიშისკენ. ამის პარალელურად, მოქალაქე დამატებით 2%-ს რიცხავს საპენსიო ფონდში, დამსაქმებელი კი, თავის მხრივ, კიდევ 2%-ს. შესაბამისად, ვიღებთ მოდელს, სადაც ხელფასის 6% ტოლფასად დასაქმებულის, დამსაქმებლისა და სახელმწიფოს მხრიდან მიემართება დასაქმებულის დაგროვებითი ანგარიშისკენ, რომელსაც კერძო საფინანსო ინსტიტუტები მართავენ. სხვაგვარად შეიძლება ასეც ითქვას: დასაქმებულს ავტომატურად ჩამოეჭრება ხელფასის 22% (საშემოსავლო გადასახადი +2% საპენსიო შენატანი), თუმცა ეცოდინება, რომ აქედან 4% მის დაგროვებით ანგარიშზე აისახება, რასაც დამატებით დამსაქმებლის მიერ ჩარიცხული 2%-იც დაემატება.

ერთ-ერთი რისკ-ფაქტორია, რომ ამ სისტემაში ჩართვა დასაქმებულისთვის ნებაყოფლობითია და, ამავდროულად, დამსაქმებლის ფინანსური ინტერესებს ეწინააღმდეგება. როგორც მოდელი გვიჩვენებს, დამსაქმებლის ფინანსური დატვირთვა, ახალ საპენსიო მოდელში ჩართული თანამშრომლის შემთხვევაში, იზრდება მინიმუმ 2%-ით (4%-ით, თუ თანამშრომლის მიერ გადასარიცხი 2%-იც ირიბად მას აწვება, იწვევს რა დამატებით მოთხოვნას ხელფასის ზრდაზე). ბუნებრივია, რომ ამ ფაქტორის გათვალისწინებით, დამსაქმებელი დაინტერესებული იქნება, შეენიანაღმდეგოს მისი თანამშრომლის აღნიშნულ მოდელში ჩართვას. მექანიზმის პოზიტიური მხარეა ის, რომ თითოეულ დასაქმებულს შეუძლია თვალი ადევნოს თავის პროტფოლიოს. ეს ამ პროცესში მონაწილეობის დამატებით მოტივაციასაც ქმნის.

დაგროვებითი საპენსიო სისტემის კონცეფცია ითვალისწინებს ასევე გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც დაგროვებული თანხის გამოყენება შესაძლებელი იქნება საპენსიო ასაკის მიღწევამდე. ასეთ შემთხვევებს განეკუთვნება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ოჯახის წევრის გარდაცვალება და შვილის განათლების დაფინანსება. ეს სისტემის მეორე რისკ-ფაქტორადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან არაერთ მოქალაქეს შესაძლებელია გაუჩნდეს სურვილი, არამიზნობრივად გამოიყენოს ეს მექანიზმი არაკანონიერი გარიგებებისა თუ დოკუმენტაციის გაყალბების საშუალებით. იმისთვის, რომ სისტემამ ნარმატებით იფუნქციონიროს, მის ამოქმედებამდე ამ და სხვა რისკ-ფაქტორების სიღრმისეული გაანალიზება და პრევენციაა საჭირო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, რეფორმა ითვალისწინებს არა პირდაპირ დაგროვებით, არამედ შერეულ მოდელზე გადასვლას, რასაც თავისი ლოგიკური ახსნა აქვს. დღესდღეობით შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ დაახლოებით 20% არის დასაქმებული ფორმალურ სექტორში, დანარჩენი კი ან უმუშევარია, ან თვითდასაქმებულია (რეპეტიტორი, ძიძა, სოფლის მეურნეობის სფერო და ა.შ.). აღურიცხავი შემოსავლების მქონენი დაგროვებით საპენსიო სისტემაში ვერ ჩაერთვებიან. აქედან გამომდინარე, გრძელვადიან პერსპექტივაშიც, სახელმწიფო პირდაპირი სუბსიდირების გარეშე ვერ შეძლებს პენსიონერთა სრული შემადგენლობის უზრუნველყოფას. ამდენად, იარსებებს ორი ტიპის პენსია: სოციალური და დაგროვებითი. სოციალური პენსია პირდაპირ დაიფარება საბიუჯეტო სახსრებით, დაფუძნებული იქნება საარსებო მინიმუმზე და მინიმალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად იქნება მიმართული. ხოლო დაგროვებითი პენსია შესაბამის ბენეფიციართა უფრო მაღალ კეთილდღეობას უზრუნველყოფს.

მთავრობის წარმომადგენლების თქმით, რეფორმის მნიშვნელოვანი სარგებელი იქნება, რომ ის ხელს შეუწყობს დანაზოგების მოცულობის ზრდას ქვეყანაში და შექმნის დამატებით წყაროს ინვესტირებისათვის, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე დადებითად აისახება. თუმცა, მოსახლეობის მხრიდან, ეს ფაქტორი შესაძლებელია ერთგვარ რისკადაც განიხილებოდეს, ვინაიდან ბუნდოვანია, თუ რა მექანიზმებით და ვინ უნდა მართოს ეს თანხები. შესაბამისად, ჩნდება შეკითხვა, თუ რამდენად დაზღვეული იქნება ეს რესურსი: მაგალითად, ხომ არ გამოიყენებენ მას სხვა მიზნებისთვის კრიზისულ ვითარებაში [სუბელიანი ა. 2018].

2.2. საპენსიო რეფორმის სქემა

საპენსიო სქემაში ავტომატურად ჩაერთვება ყველა მოქალაქე, ვინც ანაზღაურებას გაფორმებული კონტრაქტის შედეგად იღებს. სისტემა ნაწილობრივ სავალდებულო პრინციპით მოქმედებს. 40 წელზე უფროსებს არჩევანი ექნებათ, განვირინდნენ თუ არა სისტემაში, 40 წლამდე პირებს კი, დაზოგვის ვალდებულება გაუჩნდებათ. საპენსიო სქემა ეხება დასაქმებულს, დამსაქმებელსა და სახელმწიფოს. წინასწარი პროექტის მიხედვით, მათი თანამონაწილეობა გამოისახება შემდეგი ფორმულით:

დასაქმებული ფონდში რიცხავს ყოველთვიური ხელფასის 2%-ს.

დამსაქმებელი ფონდში რიცხავს დასაქმებულის ხელფასის 2%-ს.

სახელმწიფო დასაქმებულის საშემოსავლო გადასახადიდან იღებს 2%-ს და მას საპენსიო ფონდში რიცხავს.

მივიღეთ ფორმულა $2\%+2\%+2\%$, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველთვიურად დასაქმებულის მთლიანი (და არა ის, რასაც ხელზე იღებს) ხელფასის 6% დაიზოგება.

სად წავა ეს ფული?

კანონის მიხედვით, რეფორმის ამოქმედებიდან პირველი ხუთი წლის განმავლობაში «საპენსიო აქტივების ინვესტირება განხორციელდება მხოლოდ ნაკლებად რისკიან საინვესტიციო პორტფელში» - ეს კი ნიშნავს, რომ მოსახლეობის ფულის უდიდესი ნაწილი განთავსდება მთავრობის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებში. ანუ მთავრობის შიდა ვალში. მეტიც, ხუთწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგაც, დაზოგილი თანხის ნახევრის სამთავრობო შიდა ვალში ჩადება იქნება შესაძლებელი. ფონდის დანარჩენი აქტივები კი, კერძო რესურსებში უნდა ჩაიდოს.

მთავრობის წარმომადგენელთა თქმით, სახელმწიფო დათმობაზე მიდის, როდესაც საპენსიო რეფორმის ერთ-ერთი კონტრიბუტორი ხდება და საშემოსავლო გადასახადიდან მიღებულ 2%-ს ცენტრალური ბიუჯეტის ნაცვლად მოქალაქეთა საპენსიო ფონდში მიმართავს. სინამდვილეში კი, ეს ასე არ არის, რადგანაც რეფორმიდან მთავრობა იმაზე დიდ ფინანსურ სარგებელს მიიღებს, ვიდრე ის 2%-ია, რასაც კონტრიბუციის სახით გასცემს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ დაზოგილი თანხა ჩაიდება შიდა ვალში.

შიდა ვალი არის ის თანხა, რასაც მთავრობა სახაზინო ობლიგაციებისა და სახაზინო ვალდებულებების გამოშვებით საქართველოს ეკონომიკიდან სესხულობს. მთავრობა ამ ვალს 1, 2, 5 და 10-წლიანი ფასიანი ქაღალდების გამოშვებით იღებს. დღეისთვის აღნიშნულ ფასიან ქაღალდებს ძირითადად კომერციული ბანკები ყიდულობენ.

რეფორმის პროექტის მიხედვით კი, მთავრობას სახაზინო ობლიგაციებისა და სახაზინო ვალდებულებების გამოშვების გაზრდა შეეძლება, რადგანაც ამ ობლიგაციებს საპენსიო ფონდის სახით სტაბილური მყიდველი ეყოლება. ეს კი ნიშნავს, რომ საპენსიო რეფორმა ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო გახდება.

რატომ არის შიდა ვალი პრობლემა?

მთავრობასა და კერძო ინსტიტუციებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი განსხვავება არის ის, რომ სახელმწიფო მოგებაზე ორიენტირებული არაა. სახელმწიფოსთვის შემოსავლის მიღების რამდენიმე წყარო არსებობს, რომელთაგან უმთავრესი საგადასახადო შემოსავლებია. შემოსავლის მიღების სხვა წყაროებია საგარეო და შიდა ვალი.

ვალი არის ვალდებულება, რომელიც სახელმწიფომ მომავალში უნდა გადაიხადოს. კომერციული ორგანიზაციისგან განსხვავებით, რომელიც ვალის გასტუმრებისთვის საკუთარი პროდუქციის/სერვისის რეალიზაციით მიღებულ თანხას იყენებს, სახელმწიფოსთვის ვალის გასტუმრების მთავარი წყარო ისევე საგადასახადო შემოსავალია.

თუ მთავრობამ საპენსიო ფონდში აკუმულირებული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი შიდა ვალად აიღო, მომავალში ამ ვალის გასტუმრებისთვის, მან შესაძლოა, გადასახადები გაზარდოს, რაშიც მას კონსტიტუციაც ვერ შეუშლის ხელს. კონსტიტუციის მუხლი, რომელიც რეფერენდუმის გარეშე გადასახადის ზრდას გამორიცხავს, ქართული ოცნების მიერ მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებებით მხოლოდ 12 წლის განმავლობაში შენარჩუნდება, 12 წლის ვალის შემდეგ კი, მთავრობას გადასახადების გაზრდა შეეძლება.

ფონდის მოქმედების ჰიპოთეტური სქემა ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

2018 წელს 1 ლარის სახით საპენსიო შენატანი შეგროვდა;

2018 წელს 1 ლარი ასესხა ფონდმა მთავრობას;

2018 წელს მთავრობამ ხარჯვა გაზარდა ამ 1 ლარით;

2038 წელს მთავრობა ზრდის გადასახადებს 1 ლარით პლიუს 1 ლარზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთით, რათა ფონდს ვალი დაუბრუნოს;

2038 წელს 1 ლარს პლიუს საპროცენტო განაკვეთი დაუბრუნდა საპენსიო ფონდს და აღნიშნული თანხა პენსიის სახით გაიცა;

ამ სქემის მიხედვით ფონდი ფიქციურია, რადგანაც მთავრობამ ვალის გასტუმრებისთვის გადასახადები გაზარდა, ეს კი ნიშნავს, რომ მისი ვალდებულება ისევე მოსახლეობას დაანვა ტვირთად.

იმისდა მიუხედავად, რომ მთავრობამ ფონდის მიმართ ვალი დააბრუნა, ეს მაინც შეიძლება მოსახლეობის ფულის მითვისებად ჩაითვალოს, რადგანაც სახელმწიფო შიდა ვალის სახით მიღებულ თანხას საკუთარი ნებასურვილის მიხედვით ხარჯავს სხვადასხვა პროექტზე, წლების შემდგომ

კი, ვალის გასტუმრებისთვის მას გადასახადების გაზრდა შეეძლება.

მთავრობის სესხების ზრდას სხვა პრობლემაც ახლავს თან. იმის გამო, რომ სასესხო რესურსი შეზღუდულია იმ პირობებში, როდესაც მთავრობა დიდი მოცულობით იღებს ვალს, ის ამ დროს კონკურენციაში შედის ჩვეულებრივ მომხმარებლებთან (ვალის აღების მსურველ ბიზნესებთან, ფიზიკურ პირებთან) რომელთაც სესხის აღება უნდათ. ამას «გამოდევნის ეფექტი» ეწოდება. მის გამო, ქვეყანაში კრედიტის მოზიდვა რთულდება, სესხებზე საპროცენტო განაკვეთები კი, იზრდება.

გადასახადების შესაძლო ზრდასთან ერთად არსებობს რისკი, რომ მთავრობამ საპენსიო ფონდში არსებული ფული კრიზისულ ვითარებაში მიითვისოს

2014 წელს პოლონეთის მთავრობამ მიითვისა საპენსიო ფონდებში განთავსებული \$39 მილიარდი დოლარი და ის სახელმწიფო ობლიგაციებში განათავსა. ამ ნაბიჯით ქვეყანა მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისის თავიდან არიდებას ცდილობდა.

რა არის დამსაქმებლის 2% და რატომ აძვირებს რეფორმა ქვეყანაში სამუშაო ძალას?

საპენსიო რეფორმა ვალდებულებებს დამსაქმებლებსაც აკისრებს, მათ ფონდში დასაქმებულის ხელფასის 2%-ის მოცულობის შენატანები უნდა განახორციელონ, რაც კომპანიებისთვის დამატებით ხარჯს წარმოადგენს. დასაქმებულისგან განსხვავებით დამსაქმებლებს არჩევანი არ აქვთ, თუ დასაქმებული ფონდში მონაწილეობას დათანხმდა, მის დამსაქმებელს სხვა გზა არ რჩება, და ისიც ავტომატურად ერთვება სქემაში, ეს კი მათთვის ახალი გადასახადის დაწესებასთან საკმაოდ ახლოსაა. სქემაში ჩართვის შემდეგ კომპანიებს სამი არჩევანი აქვთ:

1. დასაქმებულის საპენსიო ფონდში ჩარიცხონ დასაქმებულის ხელფასის 2% ისე, რომ დასაქმებულის ხელფასის მოცულობა არ შემცირდეს. ამ შემთხვევაში, დამსაქმებლის ხარჯები იზრდება. მაგალითად, თუ ხელფასია 1000 ლარი, დასაქმებულის ხელფასი დარჩება 1000 ლარი და ამასთან ერთად, დამსაქმებელი კიდევ 20 ლარს ჩარიცხავს ფონდში. ჯამში დამსაქმებლისთვის დასაქმებულის ხარჯი გაიზრდება 20 ლარით.

2. დამსაქმებლებს შეუძლიათ, საპენსიო ფონდში ჩასარიცხი 2% მოაკლონ დასაქმებულის ხელფასს და ისე მიმართონ საპენსიო ფონდში. ამ შემთხვევაში დამსაქმებლის ხარჯები უცვლელია, მაგრამ დასაქმებულის ხელფასი 2%-ით მცირდება.

3. ნებისმიერი სახის თანაფარდობა ხელფასის 2%-ით შემცირებასა და დასაქმებულის შენახვის ხარჯების 2%-ით ზრდას შორის.

საპენსიო რეფორმის ეს ნაწილი ყველაზე მეტად ჰგავს ბიზნესისთვის ახალი გადასახადის დაწესებას, რადგანაც დასაქმებულთა ნაწილისგან (40-წელზე უფროსების) განსხვავებით, დამსაქმებლებს არანაირი არჩევანი არ აქვთ. თუ მათი დასაქმებული ფონდში განვერიანებას გადაწყვეტს, მათაც სავალდებულო პრინციპით უნდა განახორციელონ კონტრიბუციები.

არის თუ არა დამსაქმებლებისთვის სავალდებულო შენატანის დაწესება ახალი გადასახადის შემოღება?

მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყანაში ახალი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის დაწესება, ან უკვე არსებული გადასახადების დონის ზრდას რეფერენდუმი ესაჭიროება. ეს კონსტიტუციითა და ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ორგანული კანონით არის განსაზღვრული.

საპენსიო რეფორმით წარდგენილი პროექტი მოსახლეობისა და დამსაქმებლის პერსპექტივიდან გამომდინარე ცხადია ახალი გადასახადის დაწესებაა, თუმცა სამართლებრივად ამის დამტკიცება რთულია. საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით, გადასახადი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმ თანხას, რომელსაც მოქალაქეები და მენარმეები სახელმწიფოს წინაშე იხდიან და რომელიც საბიუჯეტო პროცესის მეშვეობით იხარჯება. საპენსიო შენატანი კი, იმის გამო, რომ ის ქვეყნის ბიუჯეტში არ ხვდება და ის მოქალაქეებს საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ უკან უბრუნდებათ, გადასახადის კლასიკურ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს, თუმცა მას სავალდებულოობიდან გამომდინარე გადასახადისთვის დამახასიათებელი სახე აქვს.

რა შემთხვევაში და რა პრინციპით მიიღებენ მოქალაქეები დაზოგილ თანხებს

რეფორმის პროექტის მიხედვით, მოქალაქეები თანხებს საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ, საბაზისო პენსიასთან (დღეს 180 ლარი) ერთად მიიღებენ. თანხა მათ ერთიანად არ გადაეცემათ, ფონდი მოქალაქის საპენსიო ასაკის მიღწევისას შეადგენს სპეციალურ კალენდარს, რომლითაც პენსიას გაცემს. დაზოგილი თანხა გაიყოფა საპენსიო ასაკში ყოფნის საშუალო მოსალოდნელ წლებზე.

2016 წლის მდგომარეობით, მამაკაცის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 68 წელია, ქალისთვის კი 77 წელი, ეს კი ნიშნავს, რომ დღეისთვის მამაკაცის საპენსიო ანგარიშზე დაგროვილი

თანხა გაიყოფა 3 წელზე, ქალის კი, 12 წელზე. იმის გამო, რომ ქალები უფრო ადრე გადაიან პენსიაზე და საშუალოდ უფრო მეტ ხანს არიან პენსიონრები, ვიდრე მამაკაცები, მათ მიერ მიღებული პენსიები საშუალოდ უფრო მცირე იქნება, ვიდრე მამაკაცების. იმის გამო, რომ დაზოგილი თანხა მოქალაქეებს საპენსიო ასაკის მიღწევისთანავე ერთიანად არ გადაეცემათ, ფონდი თანხის იმ ნაწილზე, რომელიც პენსიონერისთვის ჯერ არ გადაეცემულა, საპროცენტო სარგებლის დარიცხვას აგრძელებს.

პროექტის მიხედვით, პირის გარდაცვალების შემთხვევაში, მის მიერ დაზოგილი თანხა მის მემკვიდრეს გადაეცემა.

მოქალაქეს დაზოგილი თანხის ნაადრევად მოთხოვნის უფლება ექნება თუ ის შშმ პირი გახდება.

პირს დაზოგილი თანხის ნაადრევად გამოტანის უფლება მიეცემა, თუ ის საქართველოს მოქალაქეობაზე უარს იტყვის, თუმცა, ამ შემთხვევაში თანხას $\frac{1}{3}$ აკლდება (ანუ სახელმწიფოს კონტრიბუციის $\frac{1}{3}$).

სავალდებულო შენატანის დაწესების ნეგატიური ეფექტი მოსახლეობის განკარგვად შესაძლებელია

რეფორმის მთავარი პრობლემა სახელმწიფოს მიმართ გრძელვადიან პერიოდში ნდობის ნაკლებობაა. მოსახლეობას ახსოვს გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ფინანსური კრიზისი და ჰიპერინფლაცია, რომელმაც საქართველოს ეკონომიკა უფსკრულის პირას მიიყვანა. შესაბამისად, დღეს საქართველოში არაა სათანადოდ განჭვრეტადი გარემო ისეთი გრძელვადიანი ინვესტიციისთვის, როგორცაც საპენსიო რეფორმა ითვალისწინებს. მეტიც, თავად ეკონომიკის მინისტრიც კი ერიდება იმის თქმას, თუ საშუალოდ რა იქნება ის საპროცენტო სარგებელი, რასაც ფონდი დაზოგილ თანხებს დაარიცხავს.

შესაბამისად, განჭვრეტადი გარემოს არარსებობის პირობებში მოსახლეობის მიერ ფონდში გადარიცხული თანხა არის ხარჯი. ეს არის თანხა, რაც მოსახლეობის განკარგვად შემოსავლებს აკლდება. საქართველოში სოციალური ფონი საკმაოდ მძიმეა (მსოფლიო ბანკის შეფასებით, მოსახლეობის 69% ან უკიდურესად ან საშუალოდ ღარიბია) ეს კი ნიშნავს, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის, რომელსაც საკმაოდ დაბალი ანაზღაურება აქვს, 2%-ის გადახდის დავალდებულება მათივე სოციალურ მდგომარეობაზე კიდევ უფრო მძიმედ აისახება.

სავარაუდოდ, მთავარი მიზეზი, რის გამოც მთავრობამ სისტემაში სავალდებულოობის კომ-

პონენტი ჩადო, არის ის, რომ სავალდებულოობის გარეშე მოსახლეობის საკმაოდ მცირე ნაწილი გად-ანყვეტდა რეფორმაში ჩართვას. სავალდებულო-ობის პრინციპით კი, მათ არჩევანი უბრალოდ არ აქვთ.

რატომ აირჩია მთავრობამ, რომ 40 წლამდე პირებისთვის დაზოგვა სავალდებულო იყოს

მთავრობას აღნიშნულ საკითხზე განმარტება ჯერ არ გაუკეთებია. საინტერესოა, რომ სავალ-დებულოობის მსგავსი კომპონენტი აღმოსავლეთ ევროპაში განხორციელებულ სხვა საპენსიო მოდ-ელებშიც გვხვდება. ლიტვასა და პოლონეთში 30 წლამდე პირებისთვის არის დაზოგვა სავალდებუ-ლო, ბულგარეთში კი, ასაკობრივი ცენზი 42 წელია. ძირითადი არგუმენტი, თუ რატომ უნდა იყოს და-ზოგვა გარკვეულ ასაკამდე სავალდებულო, არის ის, რომ ეს რეფორმა მიმართულია იქითკენ, რომ ახალი სამუშაო თაობა მომავალში რაც შეიძლება ნაკლებად იყოს დამოკიდებული სოლიდარულ/რე-დისტრიბუციულ საპენსიო სისტემაზე და მათ სა-კუთარი პენსიის უზრუნველყოფა თავად შეძლონ.

აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მო-ქმედი საპენსიო მოდელები ასე გამოიყურება:

ბულგარეთი - სავალდებულოა 42 წლამდე მო-ქალაქეთათვის, დასაქმებულები ფონდში საკუ-თარი ხელფასის 5%-ს რიცხავენ.

ხორვატია - სავალდებულოა 40 წლამდე მოქა-ლაქეთათვის, დასაქმებულები ფონდში ხელფასის 5%-ს რიცხავენ.

ესტონეთი - სავალდებულოა ახალი თაობის სამუშაო ძალისთვის, დასაქმებულები ფონდში ხელფასის 6%-ს რიცხავენ.

უნგრეთი - სავალდებულოა ყველასთვის, დასაქმებულები ფონდში ხელფასის 6%-ს რიცხა-ვენ.

ლატვია - სავალდებულოა 30 წლამდე, დასაქმე-ბულები ფონდში ხელფასის 8%-ს რიცხავენ.

ლიტვა -სრულად ნებაყოფლობითია, დასაქმე-ბულები ფონდში ხელფასის 6%-ს რიცხავენ.

პოლონეთი - სავალდებულოა 30 წლამდე , დასაქმებულები ფონდში ხელფასის 7.3%-ს რიცხ-ავენ.

რუმინეთი - სავალდებულოა 35 წლამდე, დასაქმებულები ფონდში ხელფასის 3%-ს რიცხა-ვენ.

ინფლაცია და ეროვნული ვალუტის მიმართ გრძელვადიანი ნდობის არარსებობა

ის მაჩვენებელი, რასაც დაზოგილი თანხების წლიურმა საპროცენტო სარგებელმა მინიმუმ უნდა გადააჭარბოს, არის ინფლაცია. საქართველო გან-

ვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, რის გამოც ინფლაციის მაჩვენებელი განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მაღალია. საერთაშორი-სო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2020 წლამდე საქართველოს საშუალო წლიური ინფლაცია 4% იქნება, თუ რა იქნება ინფლაციის მაჩვენებელი 2020 წლის შემდეგ, ამის დღეს განსაზღვრა რთუ-ლია.

იქიდან გამომდინარე, რომ მოსახლეობის და-ზოგილი თანხა ბაზარზე ინვესტირდება იმის გა-რანტიას, რომ ფონდს წაგება არ ექნება, სახელმ-ნიფო ვერ გასცემს. სავარაუდოდ, რამდენიმე ათ-წლეულში საქართველო უფრო მეტად დაემსგავსე-ბა ევროკავშირის საშუალოდ განვითარებულ ეკონომიკას, რასაც ქვეყანაში ინფლაციის დასტა-ბილურება უნდა მოყვეს, თუმცა იქამდე რა იქნება ინფლაცია, ეს პრაქტიკულად არ არის განჭვრეტა-დი.

ინფლაციასთან ერთად მნიშვნელოვან პრობ-ლემას ვალუტის გაუფასურებაც წარმოადგენს.

საქართველო ამჟამად სავალუტო კრიზისში იმ-ყოფება. არსებული არასტაბილური ვითარების გამო, მოსახლეობის დანაზოგების 2/3-ზე მეტი არა ლარში, არამედ დოლარსა და ევროშია განთავსე-ბული. მოსახლეობის ნდობა ლარის მიმართ დაბა-ლია. ამას ეკონომიკური მიზეზიც აქვს, რადგანაც ბოლო 20 წლის მანძილზე ქვეყანაში ორი სავალუ-ტო კრიზისი მოხდა, ბოლო 25 წლის მანძილზე კი, საქართველოში ჰიპერინფლაცია მოხდა. ლარის შემოღებიდან დღემდე, საშუალო წლიური ინფლა-ცია 6%-ია.

რეფორმაში ჩართვის უფლება თვითდასაქმე-ბულებსაც ექნებათ:

ამჟამად, საქსტატის მონაცემებით, საქარ-თ-ველოში დასაქმებულთა რაოდენობა 1.76 მილიო-ნია, საიდანაც 1.015 მილიონი თვითდასაქმებუ-ლია, 747 ათასი კი - დაქირავებით დასაქმებული. თვითდასაქმებულებს შორის დაახლოებით 80% სოფლად მცხოვრები შრომისუნარიანი მოსახლე-ობაა, რომლებსაც სტატისტიკა დასაქმებულებად მხოლოდ იმიტომ თვლის, რომ ისინი საკუთარ ნა-კვეთებში მოსავლის მიზნის მიღებით მუშაობენ. მათ შესაძლოა ნატურის (მოყვანილი პროდუქცი-ის) გარდა არანაირი ფინანსური შემოსავალი არ ჰქონდეთ, მაგრამ ისინი მაინც დასაქმებულებად ითვლებიან.

რეფორმა პირველ რიგში ეხება მათ, ვინც ხელ-ფასს კონტრაქტის საფუძველზე იღებს, თუმცა რე-ფორმის მოდელი თვითდასაქმებულების სისტემა-ში ჩართვის შესაძლებლობასაც უშვებს.

კანონპროექტის მიხედვით, თვითდასაქმებულთათვის სისტემაში ჩართვა სრულად ნებაყოფლობითია, თუმცა ჩართვის შემთხვევაში მათ ფონდში არა 2%-ის, არამედ 4%-ის გადახდის ვალდებულება უჩნდებათ.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, სხვადასხვა სექტორებში, ყოველთვიური ხელფასების განაწილება ასე გამოიყურება (საქსტატის მასალები):

- სოფლის მეურნეობა - 578 ლარი
- სამთომომპოვებელი მრეწველობა - 1050 ლარი
- განათლება - 483 ლარი
- დამამუშავებელი მრეწველობა - 750 ლარი
- მშენებლობა - 1180 ლარი
- ვაჭრობა - 783 ლარი
- სასტუმროები/რესტორნები - 563 ლარი
- ტრანსპორტი კავშირგაბმულობა - 1189 ლარი
- საფინანსო საქმიანობა - 1691 ლარი
- სახელმწიფო მმართველობა - 1342 ლარი
- ჯანდაცვა - 844 ლარი

რა თანხა დაიზოგება და რა პენსიას მიიღებენ მოქალაქეები:

«თუ მოქალაქეს ხელფასი 1000 ლარი აქვს, დაგროვებითი პენსიის პირობებში, 30 წლის შემდეგ მისი პენსია იქნება დაახლოებით 500 ლარს (დღევანდელი მსყიდველუნარიანობით იგულისხმება) პლუს საბაზისო პენსია», - ამბობს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე.

ის, თუ რა პენსიებს აიღებენ მოქალაქეები მომავალში, არაერთ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა წინასწარ განჭვრეტა პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს ფაქტორებია ხელფასების ზრდის საშუალო ტემპი, ეკონომიკური ზრდის ტემპი, ფონდის მიერ დარიცხული საპროცენტო განაკვეთი, ინფლაციის მაჩვენებელი, საფინანსო სექტორის სიჯანსაღე, მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და ასე შემდეგ.

დასახელებული 500-ლარიანი პენსია 1000 ლარის ხელფასის პირობებშიც მრავალ დაშვებას ეფუძნება. პირობითად შესაძლებელია ისეთი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა ინფლაცია, ხელფასების ზრდის ტემპი და დარიცხული საპროცენტო განაკვეთი გავაკეთოთ პენსიების მოდელირება.

საპენსიო ფონდის თანხების ინვესტირება

ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშებზე არსებული მონაწილეთა თანხები, ამონაგების მიღების მიზნით, ინვესტირდება ფინანსურ ინსტრუმენტებში.

დაგროვებითი საპენსიო სქემის ამოქმედებიდან პირველი 5 წლის განმავლობაში, მონაწილეთა თანხები განთავსდება მხოლოდ დაბალრისკიან საინვესტიციო პორტფელში, ხოლო 5 წლის შემდეგ, მონაწილეებს მიეცემათ საშუალება აირჩიონ დაბალრისკიანი, საშუალორისკიანი ან მაღალრისკიანი საინვესტიციო პორტფელი.

აღნიშნულ შემთხვევაში, დაბალრისკიანი საინვესტიციო პორტფელი მაღალი ალბათობით, საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული სახაზინო ობლიგაციები და სახაზინო ვალდებულებებია.

მოქალაქეებს შეეძლებათ გააკეთონ სამი ტიპის არჩევანი და მათი თანხები დაბანდეს 1) შედარებით დაბალრისკიან აქტივებში; 2) საშუალო რისკიანობის აქტივებში; 3) შედარებით მაღალრისკიან აქტივებში.

თითოეული ამ კატეგორიისთვის განსხვავებული იქნება იმ საფინანსო ინსტრუმენტების თანაფარდობა, რომლებშიც დაზოგილი თანხა უნდა ინვესტირდეს. დაბალრისკიან მიმართულებას შესაბამისად, უფრო დაბალი საპროცენტო სარგებელი ექნება, ვიდრე შედარებით რისკიან მიმართულებას.

წინასწარ უცნობია თუ რა იქნება საშუალოდ ის საპროცენტო სარგებელი, რომელსაც აღნიშნული სისტემა მოქალაქეთა დაზოგილ თანხას დაარიცხავს.

იმის მიუხედავად, რომ საპენსიო სისტემაში აკუმულირებული თანხების მკაცრი მონიტორინგი მოხდება და ისინი კარგად დათვლილი და დაგეგმილი პროცედურების შედეგად ინვესტირდებიან, სახელმწიფო არ იქნება გარანტორი, რომ თქვენ მიერ დაზოგილ თანხას დაიბრუნებთ დანაკარგის გარეშე. აღნიშნულს სახელმწიფოს მხრიდან ვალდებულების სახე არ ექნება. შესაბამისად, სისტემაში აკუმულირებული თანხები არ იქნება იმუნური საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებისგან, იქნება ეს საბაზრო კრახები, მაღალი ინფლაცია თუ ეკონომიკური კრიზისები.

კანონი ითვალისწინებს ეროვნული ბანკის მიერ საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ დროებით მოქმედებას იმ შემთხვევაში, თუ დადგა საპენსიო აქტივების ინვესტირებასთან და მასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგად მიღებული საპენსიო აქტივების 1%-ზე მეტი დანაკარგი, რომელიც არ არის გამოწვეული საბაზრო პირობების ცვლილებებით.

დაგროვებული საპენსიო თანხის გატანა

დაგროვებითი პენსიის მიღების უფლება მოქალაქეებს მხოლოდ საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ ექნებათ. შესაბამისად, ქალები მას 60 წლიდან, მამაკაცები კი 65 წლიდან მიიღებენ. თანხის გატანა პირადი განცხადების საფუძველზე მოხდება. თანხას მოქალაქეები საბაზისო პენსიასთან (დღეს 180 ლარი) ერთად მიიღებენ.

ფულის გატანის პრინციპი ასეთი იქნება - ინდივიდუალურ ანგარიშზე არსებული თანხა გაიყოფა იმ წლების რაოდენობაზე, რომელიც ტოლი იქნება აღნიშნული წლისთვის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე, მოქალაქის სქესის მიხედვით. დღეის მდგომარეობით, საქართველოში ქალის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 77.8 წელია, შესაბამისად, ქალებისთვის დაზოგილი თანხა გაიყოფა 17.8 წელზე, რაც პირობითად მათი პენსიაზე ყოფნის დროს წარმოადგენს. მამაკაცის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა კი 69.2 წელია, რაც ნიშნავს, რომ პირობითად კაცების მიერ დაზოგილი თანხა 4.2 წელზე გაიყოფა.

ამასთანავე, ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს გადაავადოს პენსიის მიღება მისი საჭიროებებიდან გამომდინარე ან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოითხოვოს საპენსიო თანხის ერთიანად მიღება (შ.ტყეშელაშვილი).

მოდელირებული პენსიები:

პენსიების მოდელირება ეფუძნება რამდენიმე ძირითად დაშვებას:

1. ხელფასების ზრდის ტემპი

ხელფასების ზრდის ტემპები: საქსტატის მონაცემებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში ხელფასები საშუალოდ 8%-ით იზრდება, აღნიშნული ზრდა ყველა სექტორში შეიმჩნევა. მაღალი ალბათობით ხელფასების ზრდა მომავალშიც გაგრძელდება.

მოდელირებისთვის საჭიროა განისაზღვროს ხელფასების ზრდის გონივრული ტემპი, რაც მომდევნო წლების განმავლობაში ქვეყანაში იქნება. მაღალი ალბათობით შედარებით ახლო მომავალში ხელფასების ზრდის მსგავსი ტემპი შენარჩუნდება. მას შემდეგ, რაც საქართველო უფრო მეტად დამსგავსება განვითარებულ ეკონომიკას, ხელფასების ზრდა გაგრძელდება, თუმცა სავარაუდოდ მას დღეს არსებული მაღალი ტემპები არ ექნება. ამიტომაც მოდელირებისას აღებულია ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც ეტაპობრივად მცირდება.

წარმოგიდგინებთ მოდელირებულ ხელფასებს რამდენიმე სექტორის საშუალო ხელფასებ-

ის მიხედვით (შენიშვნა მოცემული თანხა ნომინალურია და ინფლაციით არ არის გასწორებული, ამიტომაც შესაძლოა ის იმაზე დიდად აღიქმებოდეს ვიდრე რეალურად არის).

2. ფონდის მიერ დარიცხული სარგებელი:

მსოფლიოში საპენსიო ფონდების მიერ დარიცხული საშუალო საპროცენტო სარგებელი, როგორც წესი, 3-4%-ის ფარგლებშია. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა და საკრედიტო რესურსი განვითარებად ქვეყნებთან შედარებით უფრო ძვირი ღირს სავარაუდოდ, საქართველოს შემთხვევაში საპენსიო ფონდის წლიური სარგებელი გარკვეული ალბათობით 4%-ზე მაღალი შეიძლება იყოს. მოდელირებისას აღებულია 4.5%-იანი წლიური სარგებელი.

3. ინფლაცია:

ლარის შემოღებიდან დღემდე საქართველოში საშუალო წლიურმა ინფლაციამ 6% შეადგინა. იქიდან გამომდინარე, რომ საპენსიო რეფორმა განსაკუთრებით გრძელვადიან პერიოდს ეხება, თითქმის შეუძლებელია ამ პერიოდში ინფლაციის პროგნოზირება, თუმცა სავარაუდოდ რაც უფრო მეტად დაუახლოვდება საქართველოს ეკონომიკა დასავლურს, ქვეყანაში მით უფრო შემცირდება და დასტაბილურდება ინფლაციის მაჩვენებელი. მთავარი მაჩვენებელი, რასაც ინფლაციამ არ უნდა გადააჭარბოს, რათა დაზოგვას აზრი ჰქონდეს, არის ფონდის საპროცენტო სარგებელი, რაც ამ შემთხვევაში 4.5%-ია. სხვა შემთხვევაში, მომავალში დარიცხული თანხის ღირებულება იმაზე ნაკლები გამოვა, ვიდრე დღეს დაიზოგა.

მიღებული პენსიები 40 წლის განმავლობაში დაზოგვის შემთხვევაში: შესაბამისად, თუ ინფლაცია 4.5%-ზე მაღალი არ იქნება, საშუალო დასაქმებული 40 წლის მუშაობის შემდეგ, საბაზო პენსიასთან ერთად მიიღებს 213-ლარიან პენსიას, სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული მიიღებს 133-ლარიან პენსიას, განათლების სექტორში დასაქმებული 114-ლარიან პენსიას. საფინანსო სექტორში დასაქმებული კი, 400-ლარიან პენსიას.

2.3. დადებითი და უარყოფითი მოსაზრებები საპენსიო რეფორმის შესახებ საქართველოში

ჩაანაცვლებს ოდესმე მომავალში (ე.ი. 10, 20, 30 წელიწადში) დაგროვებითი საპენსიო მოდელი დღეს მოქმედ ე.წ. საბაზისო პენსიას (ასაკობრივი სოციალური შემწეობა), თუ ორივე სქემა ყოველთ-

ვის ძალაში დარჩება, როგორც ხანდაზმულობის ფინანსური უზრუნველყოფისათვის ორი ერთმანეთის პარალელური და ურთიერთშემავსებელი მექანიზმი?

გამოიწვევს თუ არა 1 იანვრიდან დაგეგმილი საპენსიო რეფორმა, დღევანდელი დემოგრაფიული სიტუაციის გათვალისწინებით, დამატებით სოციალურ ტვირთს სახელმწიფო ფინანსებისთვის და რამდენად გათვალისწინებულია დამცავი მექანიზმები, რომლებმაც მომავალში უნდა გამორიცხოს სახელმწიფოს მხრიდან სოციალური ხარჯების მოტივით ფინანსური ვალდებულების ზრდა და სახელმწიფო ფინანსების ჩათრევა მომავალ თაობათა გალარების უფსკრულში?

ამ კითხვებზე მთავრობას სრულყოფილი პასუხები არ აქვს, ხოლო მათ გარეშე საპენსიო რეფორმის დაწყება არის ნაჩქარევი.

2018 წელს ვალებზე მომსახურებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 550 მლნ ლარი უნდა დაიხარჯოს (2017: 503 მლნ; 2016: 473 მლნ; 2015: 364 მლნ; 2014: 305 მლნ; 2013: 309 მლნ).

იმისთვის, რომ ახალმა საპენსიო სისტემამ არ გამოიწვიოს სახელმწიფო ფინანსებში ვალდებულებების ზრდა, სოციალისტური და/ან ლიბერალური მოდელების ნაცვლად, ჩემი აზრით, უნდა ვიფიქროთ კონსერვატიულ მოდელზე.

დემოგრაფიული სიტუაცია

საქართველოს მოსახლეობა 2016 წლის მონაცემებით 3,7 მილიონს შეადგენს, რომელთა შორის 900 ათასამდე ბავშვია (18 წლამდე ადამიანები) და 700 ათასამდე პენსიონერი (>65 წელი - მამაკაცები; >60 წელი - ქალბატონები), ხოლო სრულასაკოვან-შრომისუნარიან მოსახლეობად (ე.წ. აბორორცეს, 18-65) ითვლება 2 მილიონი ადამიანი. ამ 2 მილიონი ადამიანიდან, რომლებიც პოტენციურ

გადამხდელებად ითვლებიან, სახელმწიფო ბიუჯეტში რეალურად გადასახადის გადამხდელია 800 ათასი ადამიანი.

2015 წლიდან შეინიშნება მოსახლეობაში ბუნებრივი მატების მონაცემის კლება (2016: +5.798 ადამიანი; 2015: +10.128; 2014: +11.548; 2013: +9.325; 2012: +7.683; 2011: +8.196; 2010: +14.721), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა დაბერებას განიცდის.

უკვე 2025 წლიდან პენსიონერების რაოდენობა გადააჭარბებს ბავშვების რაოდენობას, ჯამურად შრომისუნარიანი მოსახლეობის, და მათ შორის, გადასახადების პოტენციური გადამხდელების რაოდენობის ზრდა შეჩერდება, ხოლო 2030 წელს პენსიონერთა რაოდენობა 1 მილიონ ადამიანს მი აღწევს.

ასეთი კრიტიკული დემოგრაფიული ვითარების ფონზე, სახელმწიფომ ნამდვილად არ უნდა დაიკრიფოს გულზე ხელი და მხოლოდ სტატისტიკის როლში შორიდან არ უნდა ადევნოს თვალი ისეთ პროცესებს, რომელთა ლოგიკური შედეგები შეიძლება იყოს ხანდაზმულთა შორის ისედაც არსებული სიღარიბის კიდევ უფრო გაღრმავება.

კიდევ ერთხელ დაგროვებითი საპენსიო რეფორმის ვარიანტების შესახებ

შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ აბსოლუტურად მიუღებელია და ვერასოდეს დავეთანხმებით ნეო-ლიბერალურ იდეოლოგიას, რომ „დაგროვებითი საპენსიო რეფორმა არ არის საჭირო“, რომ „ხანდაზმულები ახლაც და მომავალშიც თვითონ მიხედავენ საკუთარ თავს“, რომ „ბაზრის უხილავი ხელი გამოასწორებს ხანდაზმულობის სიღარიბეს,“ - ასეთი მიდგომები არის უპასუხისმგებლო.

დაგროვებითი საპენსიო ფონდის მოდელი	ინდივიდის შენატანი	დამსაქმებლის შენატანი	სახელმწიფოს შენატანი
სოციალური	0%	0%	6%
სოციალურ-ლიბერალური	2%	2%	2%
კონსერვატიული	3%	3%	0%
ნეო-ლიბერალური	6%	0%	0%

- არამხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში, საპენსიო რეფორმა აუცილებელია იმისთვის, რომ საზოგადოებაში უახლოეს პერიოდში გაჩნდეს დაგროვების კულტურა საკუთარ ხანდაზმულობაზე თავიდანვე ზრუნვის მოტივით.
- საპენსიო რეფორმა აუცილებელია იმისთვის, რომ ფინანსურ ბაზრებზე კომერციული ბანკების გვერდით (და არა წინააღმდეგ!) გაჩნდნენ სხვა ინსტიტუციონალური მოთამაშეებიც, რომელთა მიერ აკუმულირებული და მართვადი რესურსი ისევე მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებას მოხმარდება და ზოგადად კაპიტალის ბაზრის განვითარებას შეუწყობს ხელს.
- საპენსიო რეფორმაში აუცილებელია კომპანიებისა და კორპორაციების ჩართულობა, რომლებმაც საგადასახადო რეფორმის ე.წ. „ესტონური მოდელით“ მნიშვნელოვანი შედეგები მიიღეს 2017 წლიდან. მათ რეალური ნაბიჯები უნდა გადადგან იმ ადამიანების წინაშე ხანდაზმულობით გამომწვეული სოციალური პასუხისმგებლობისთვის, ვინც წლების განმავლობაში მათი შემოსავლებისა და მოგების შექმნას ემსახურებიან.

მაგრამ, მაგრამ, მაგრამ... ერთი მხარეა, რომ უარი ვთქვათ ნეო-ლიბერალურ მიდგომაზე და სახელმწიფო იყოს დაგროვებითი საპენსიო რეფორმის ინიციატორი, ხოლო - მეორე, თუ როგორ განახორციელებს სახელმწიფო აღნიშნულ რეფორმას, რომლის აუცილებლობა ეჭვგარეშეა.

რას გვთავაზობს მთავრობა?

საპენსიო სისტემის რეფორმა, რომლის ამოქმედება მთავრობას 2018 წლის მე-3 კვარტილიდან იყო განზრახული, მაგრამ მისი ამოქმედება დაიწყო 2019წ. 1 იანვარს, ეფუძნება დაგროვების სოციალურ-ლიბერალურ მოდელს (შედარებისთვის იხილეთ სქემა სურათზე), რომელიც თანაბრად ანაწილებს(ფორმულა: 2% ხ2% ხ2%) დაგროვებით სისტემაში შენატანების ვალდებულებას ბენეფიციარს (ე.ი. მომავალ ხანდაზმულს), კერძო სექტორს (ე.ი. მომავალი ხანდაზმულის დღევანდელ დამსაქმებელს) და სახელმწიფოს (ე.ი. გადასახადების გადამხდელს) შორის.

შემოთავაზებული მოდელის მიხედვით, ფორმალურად თითქოს განსხვავებული, თუმცა შინაარსობრივად იგივე დატვირთვა გააჩნია ე.წ. თვითდასაქმებულთა დაზღვევის ფორმულას (4% ხ 0% ხ 2%). აქაც სახელმწიფოა (ე.ი. გადასახადის გადამხდელი) მთავარი თანადაზღვევი, რაც იმას ნიშ-

ნავს, რომ სოციალურ-ლიბერალური სქემით ე.წ. თვითდასაქმებულების საპენსიო უზრუნველყოფა, რომლებიც მხოლოდ პოტენციურ გადასახადის გადამხდელს წარმოადგენენ, მაგრამ რეალურად მხოლოდ მათი უმნიშვნელო ნაწილია გადასახადის გადამხდელი, ბიუჯეტის დამატებითი ტვირთი გახდება.

სოციალურ-ლიბერალური მოდელის მიხედვით სახელმწიფო გვევლინება ორჯერ თანადაზღვევად იმ 270 ათასამდე ადამიანისათვის (2% ხ 0% ხ 4%), რომლებიც ბიუჯეტის ხარჯზე სახელმწიფოს მიერ არიან ამჟამად ან იქნებიან მომავალში დასაქმებული, როდესაც მათ დაგროვების პროცესში მოუწევთ მონაწილეობის მიღება.

ე.ი. გამოდის, რომ თავისი ყველა ვარიანტით დაქირავებულებისთვის, თვითდასაქმებულებისათვის და სახელმწიფო მოხელეებისათვის სოციალურ-ლიბერალური ფორმულა, რომელსაც გვთავაზობს მთავრობა და რომლის ამოქმედება დაგეგმილია 1 ივლისიდან, არის ნაკლებად ლიბერალური და უფრო მეტად სოციალისტური, რადგან ის შეიცავს მნიშვნელოვან რისკებს იმისას, რომ საშუალოვადიან პერიოდში სახელმწიფოს ფინანსები კიდევ უფრო დაიტვირთება სოციალური ხარჯებით, შეაფერხებს ეკონომიკურ ზრდას და გახდის ბიუჯეტის შესრულებას უფრო მეტად დამოკიდებულს შიდა ვალების, მათ შორის დაუგეგმავი ვალების აღებაზე.

როგორც ცნობილია, ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს არამხოლოდ კონკრეტული ინსტრუმენტების, არამედ მათთან ერთად ამ ინსტრუმენტებით მისაღწევი მიზნების ერთობლიობას, და, ჩემი აზრით, მთავრობის მიერ წარმოდგენილი მოდელის ყველაზე მთავარი არასრულყოფილობა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ რეფორმის ავტორები გვთავაზობენ მხოლოდ ინსტრუმენტებისა და ფორმულების კრებულს, მაგრამ არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი, თუ მთავრობის მხრიდან რა მიზნის მიღწევას ემსახურება ინსტრუმენტების გამოყენება, როგორც ამ სტატიის დასაწყისში დასმულ შეკითხვებშია გამოხატული.

აუცილებელია ისეთი საპენსიო რეფორმის გატარება, რომლის მიზნები იქნება:

- 1) ხანდაზმულობის სიღარიბისგან დაცვა - მეტიც, დროთა განმავლობაში ხანდაზმულთა ბაზაზე ძლიერი სამომხმარებლო საზოგადოების შექმნა და მათი მხრიდან ეკონომიკური ზრდის წახალისება. პენსიონერების რაოდენობის გაზრდით არამხოლოდ მედიკამენტებზე უნდა გაიზარდოს მოთხ-

ოენა, არამედ სამომხმარებლო პროდუქტებზე, ტურისტულ მომსახურებაზე და ა.შ.

2) სოციალურ სოლიდარობაში სახელმწიფოს როგორც მიმართულების განმსაზღვრელის როლი, ისე რომ ამ მიზნით სახელმწიფოს ახალი ვალეების აღება არ დასჭირდეს.

კონსერვატიზმი სახელმწიფო ფინანსებში ნიშნავს, რომ სახელმწიფო არის მცირე, მაგრამ მოქნილი. ე.ი. სოციალური სამართლიანობის ლოზუნგით სახელმწიფო ვალეებში არ უნდა ჩაიძიროს და ამით უფრო მეტი უსამართლობა არ უნდა წარმოიშვას თაობებს შორის, რადგან სოციალური ხარჯებისთვის აღებული ვალეები არ იქნება უკუგებადი, მაგრამ იქნება წაგებადი და მომავალი თაობების გადასახდელი.

საბერძნეთის მახალითი

შესავალში დასმული კითხვები, რომლებიც ფუნდამენტური ხასიათისაა, მაგრამ არ არის ახალი გამოგონილი, არამედ ორივე შეკითხვის ფორმირება მოხდა მრავალი საერთაშორისო გამოცდილების მაგალითზე, როდესაც, მათ შორის აღმოსავლეთ ევროპაში, ბუნდოვანი მიზნებით დაიწყეს სწორედ სოციალისტური ან სოციალურ-ლიბერალური მოდელით საპენსიო სისტემის განვითარება, რამაც საქმე მიიყვანა იქამდე, რომ საპენსიო ფონდებში ათწლეულობით დაგროვებული თანხა საბიუჯეტო დეფიციტის დაფინანსებას მოხმარდა (2010 - უნგრეთი, პოლონეთი, ლატვია), ხოლო ასაკობრივ სიღარიბეში ჩაითრია პოტენციური ბენეფიციარები, რომლებიც პენსიაში გასვლამდე დაგროვებით სქემაში საკუთარი შენატანებით მონაწილეობდნენ.

საპენსიო სისტემის სოციალურ-ლიბერალურმა მოდელმა ყველაზე დრამატული შედეგი განიცადა საბერძნეთში. ზუსტად მსგავსი მეთოდით საბერძნეთის მთავრობამ 1985 წელს შემოიღო დაგროვებითი სახელმწიფო-საპენსიო სისტემა, ე.ი. სახელმწიფოს, დამსაქმებლის და ინდივიდის თანაბარი მონაწილეობით. უკვე 1990-იანი წლების დასაწყისში საბერძნეთის ფინანსთა სამინისტრო იძულებული გახდა, თავისი შენატანის დასაფინანსებლად მიემართა ვალდებულებების ზრდისთვის.

2002 წელს, რომ არა ევროზონაში შესვლა, რითაც საბერძნეთის მთავრობამ ევროზონარზე საკრედიტო რესურსის მოზიდვაზე წვდომა მოიპოვა, მთავრობა იძულებული გახდებოდა, რომ დეფოლტი გამოეცხადებია წინა წლებში გაზრდილი ვალდებულებების გამო. ე.ი. საბერძნეთმა 2002 წელს ევროზონაში შესვლით გადაავადა

პრობლემა, მაგრამ ფუნდამენტურად ვერ აღმოფხვრა. 2008-2010 წლების ფინანსურ კრიზისს ველარ გაუძლო საბერძნეთის ქრონიკულმა დეფიციტმა, რომელიც 1985-2000 წლებში სოციალური ხარჯებით გამოწვეული ვალდებულებების ზრდას უკავშირდებოდა.

ქრონიკულმა დეფიციტმა გამოიწვია საკრედიტო რეიტინგის გაუარესება, რის გამოც საბერძნეთის მთავრობას გადაეკეტა გზა საერთაშორისო კაპიტალის ბაზარზე. ამის შემდეგ რომელი ინვესტორი შეიძენდა კიდევ საბერძნეთის ობლიგაციებს? შედეგად, საბერძნეთი გახდა საერთაშორისო კრედიტორების (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროპის ცენტრალური ბანკი, ევროკავშირი) მიერ დახმარების პროგრამაზე ქრონიკულად დამოკიდებული.

დღეს საბერძნეთის სახელმწიფო ფინანსები „აპარატზეა მიერთებული,“ და „სტაბილურად მძიმე მდგომარეობაში“ მყოფი პაციენტის აპარატიდან არჩახსნა უმკაცრეს ფისკალურ დისციპლინაზეა დამოკიდებული, რამაც არამხოლოდ დღევანდელი, არამედ მომავალი პენსიონერების ზურგზე ათწლეულობით უნდა გადაიაროს. საბერძნეთში დღეს ასაკობრივი ხანდაზმულობის ხარჯები შეადგენს 1985-2010 წლებში დაგროვებული რესურსის მხოლოდ 60% მომავალ წლებში ამ მაჩვენებლის შემცირების პერსპექტივით, ხოლო რესურსის დაგროვება-გამრავლებაზე საუბარიც აღარ არის.

დაგროვებითი მოდელი არ ამართლებს, როგორც კი სქემაში სახელმწიფო მონაწილეობს - სახელმწიფო ვერ იქნება კარგი დამგროვებელი, ე.ი. არაკრიზისულ სიტუაციებში სახელმწიფო იქნება შენიღბული და უკონტროლო მფლანგველი, ხოლო საგანგებო სიტუაციებში სახელმწიფო გარდაიქმნება კეთილმოსურნე მაგრამ ჯიბეგამოფხეკილ ხაზინადარად, ისე რომ პასუხსაც ვერ მოსთხოვ.

2.4. ნახევრად სავალდებულო, დაბროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმის ანალიზი

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთ ცენტრალურ მიზანს წარმოადგენს ინკლუზიური და ლიბერალური ტიპის ეკონომიკის ჩამოყალიბება, რომელიც იქნება მდგრადი მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების მიმართ. სწორედ აღნიშნული გარდაქმნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია არსებული საპენსიო სისტემის რეფორმა და მისი ჩანაცვლება დაგროვებითი საპენსიო სისტემით,

რაც, თავის მხრივ, ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში – „საქართველო 2020“.

ჯერ კიდევ 2014 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში, ბატონი ოთარ ძიძიკაშვილის ხელმძღვანელობით, შეიქმნა საპენსიო რეფორმის სამსახური, რომლის მიზანი იყო, საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმის კონცეფციის შემუშავება და დანერგვა. როგორც დაგეგმილი იყო, საპენსიო სისტემის ახალ მოდელზე საქართველოს 2017 წელს გადასვლა, ხოლო 2016 წელი მთლიანად დაეთმო საპარლამენტო განხილვებსა და შესაბამისი, საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას. გამოდის, რომ რეფორმის კონცეფციის შემუშავებასა და დანერგვას საქართველო სულ რაღაც 4 წელიწადში შეძლებდა, მაშინ, როცა სომხეთს 15 წელი დასჭირდა დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასასვლელად.

თავისი სოციალურ-ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე, საპენსიო სისტემის რეფორმის მიმართ მაღალია საზოგადოების ინტერესი, რაზეც მიმდინარე წლის მანძილზე განხორციელებული, სხვადასხვა ფორმატის დისკუსიები თუ სატელევიზიო განხილვები^[6] მოწმობს. ქვეყნის მასშტაბით, დარგობრივი კომპეტენციის მიხედვით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ მოიცვან საზოგადოების მაქსიმალურად ფართო სპექტრი და უზრუნველყონ კერძო-საჯარო დიალოგის პრინციპის დაცვა რეფორმის მიმდინარეობის სანყის ეტაპზევე.

ბოლო წლებში, საქართველოში აქტიურად განხილვობდა საპენსიო სისტემის ცვლილების საჭიროება, რომელიც ნაკარნახევია ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული, ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობით.

ბიზნეს სექტორთან საპენსიო სამსახურის უფროსის შეხვედრის შემდეგ, რომელიც 2015 წლის 11 დეკემბერს შედგა, ცნობილი გახდა რეფორმის კონცეფცია, რაც გულისხმობდა შემდეგს:

რეფორმის სანყის ეტაპზე, დაგროვებით საპენსიო სისტემაში ჩაერთვება ყველა დასაქმებული პირი (გამორიცხება თვითდასაქმებული პირები, რომელთა ხვედრითი წილი მთლიან სამუშაო ძალაში საკმაოდ მაღალია), რომელთაც ექნებათ 6 თვიანი პერიოდი იმისათვის, რათა უარი თქვან დაგროვებით საპენსიო სისტემაში მონაწილეობაზე. სხვა სიტყვებით, 6 თვიანი ვადა იქნება ის პერიოდი, რა დროშიც მონაწილეს ექნება სისტემიდან გამოსვლის შესაძლებლობა. აღნიშნულიდან

ირკვევა, რომ რეფორმა გულისხმობს ნახევრად სავალდებულო ტიპის (ჰიბრიდული) საპენსიო სისტემის შემოღებას დასაქმებულთათვის, თუმცა იგი სრულად სავალდებულოა დამსაქმებლისათვის.

რეფორმის მიხედვით, ახალი მოდელი გულისხმობს სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში 22% -ის გადახდას, საიდანაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს ვალდებულებას 2% მიმართოს პირის დაგროვებითი საპენსიო ანგარიშსკენ. აღნიშნულის პარალელურად, დასაქმებული დამატებით 2%-ს რიცხავს საპენსიო ფონდში, დამსაქმებელი კი, თავის მხრივ, დამატებით 2%-ს. ხსენებულ 6%-ს ასევე ემატება წლიური საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც სისტემაში ჩართულ პირს წლიურად ურიცხავს საპენსიო ფონდი. აღნიშნულის თანახმად, სახეზეა მოდელი, სადაც ხელფასის 6% დასაქმებულის, დამსაქმებლისა და სახელმწიფოს მხრიდან ირიცხება დასაქმებულის დაგროვებით ანგარიშზე, რომელსაც კერძო საფინანსო კომპანიები მართავენ. აღნიშნულის გარდა, ასევე იარსებებს სახელმწიფო (სოციალური) პენსიაც, რომელიც პირდაპირ საბიუჯეტო სახსრებით დაიფარება, დაეფუძნება საარსებო მინიმუმს და უზრუნველყოფს მხოლოდ მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებას. რეფორმის მიხედვით, შესაძლებელი იქნება საპენსიო ანგარიშზე არსებული დანაზოგების გადაცემა მემკვიდრეობით, აგრეთვე, აკუმულირებული თანხების დროზე ადრე გატანა გარკვეულ შემთხვევებში (ჯერ-ჯერობით არ კონკრეტდება თუ რა შემთხვევებზეა საუბარი, მაღალი ალბათობით ეს შეეხება უბედურ შემთხვევას და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებულ საკითხებს). სისტემაში ჩართვის ასაკობრივი ცენზი მამაკაცებისათვის განისაზღვრა 50 წელი, ხოლო ქალებისათვის – 45 წელი.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მოსაზრებები საპენსიო რეფორმის შესახებ

საპენსიო უზრუნველყოფის მთავრობის მიერ შემოთავაზებულმა მოდელმა მწვავე კრიტიკა დაიმსახურა როგორც არასამთავრობო სექტორის, აგრეთვე, პოლიტიკური ოპოზიციისა და ზოგადად, დარგის სპეციალისტთა მხრიდან.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მონიტორინგის პროგრამების მენეჯერი, ქალბატონი ირინა გურული თვლის, რომ არსებული საპენსიო განაკვეთი წარმოშობს ძალიან მაღალ საბიუჯეტო წნეხს საჯარო ფინანსების სექტორზე. მისი თქმით, საქართველოში პრობლემას ქმნის დემოგრაფიული მდგომარეობა, მცირე ზომის

ფორმალური ეკონომიკა, გადასახადების გადამხდელთა მწირი რაოდენობა, აგრეთვე, მთავრობის მიერ განხორციელებული სოციალური პოლიტიკა. აქედან გამომდინარე, ახალი საპენსიო მოდელის შემუშავების გარკვეული აუცილებლობა ნამდვილად დგას დღის წესრიგში, რასაც თან ახლავს მთელი რიგი გამოწვევები. სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა შეადგენს 600 000 პირს, რომელთაგან ნახევარი საჯარო სექტორშია დასაქმებული, ანუ ეს კატეგორია იქიდანვე იღებს ხელფასს, საიდანაც ეს გადასახადი შეაქვს, ხოლო დაახლოებით 300 000 კერძო სექტორშია დასაქმებული. ქვეყანაში ცოტაა გადასახადის გადამხდელი და იმის ალბათობა, რომ დაგროვებით საპენსიო ფონდში აკუმულირებული თანხები შექმნის ეკონომიკის განვითარებისათვის ხელშესახებ პერსპექტივას-არარეალისტურია. შემდეგი საკითხია აკუმულირებული თანხების ინვესტირების მექანიზმები. საქართველოს ტიპის ქვეყნები, როგორც წესი, იყენებენ დეპოზიტებისა და სახაზინო ობილგაციების მიმართულებას, რადგან ყველაზე დაბალ რისკიანია. ქალბატონი ი.გურულის თქმით, სერიოზული პრობლემაა ინვესტირების მიმართულებით, რადგან საქართველოში განვითარებული არ არის კაპიტალური ბაზარი, ეს ქმნის სერიოზულ წინააღობას აღნიშნული რეფორმისათვის. ასევე გასათვალისწინებელია არასტაბილური გარემო და გრძელვადიანი ხედვის დეფიციტი. ჩნდება მთელი რიგი კითხვები ინფლაციის დონესთან და შეგროვილი თანხების მსყიდველუნარიანობასთან დაკავშირებით წლების შემდეგ. სადაო საკითხია შემოთავაზებული რეფორმის სავალდებულო ხასიათი დამსაქმებლის მიმართ, რაც წარმოშობს ფინანსურ წნეხს კერძო ბიზნესზე, რომელიც გაზრდის არაფორმალური დასაქმების მაჩვენებლის დონეს.

დაგროვების ნებაყოფლობითი კომპონენტი ისედაც არსებობს საქართველოს რეალობაში, იგივე ბანკებისა და სადაზღვევი კომანიების მხრიდან, თუმცა რამდენად აქვს ქვეყნის მოსახლეობას დაგროვებისა და თვითდისციპლინის კულტურა ეს სხვა საკითხია, რაც, რა თქმა უნდა, პირდაპირ კავშირშია სტაბილურობის განცდასთან, განსაკუთრებით ეროვნული ვალუტის მიმართ.

დაგეგმილი რეფორმის მიმართ არსებობს სერიოზული საინფორმაციო დეფიციტი, რაც აუცილებლად შეუქმნის პრობლემებს კერძო სექტორის წარმომადგენლებს. მნიშვნელოვანი სამუშაოა ჩასატარებელი საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, რათა ბიზნესს ჰქონდეს

სტაბილურობის განცდა და თავიდან იქნას აცილებული ის შედეგები, რაც სომხეთის მაგალითმა აჩვენა, როცა რეფორმის კრახი, მნიშვნელოვანი ლად, სწორედ საინფორმაციო კამპანიის არარსებობამ გამოიწვია.

2017 წლის 10 დეკემბერს, კვლევითი ცენტრის ჩ-ის ორგანიზებით გაიმართა კვლევის – სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემა – გამოწვევები და საერთაშორისო პრაქტიკა პრეზენტაცია, რომელზეც წარმოდგენილი იყო კვლევის ძირითადი მიგნებები, ხოლო დისკუსიის ფორმატში განხილულ იქნა საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ასპექტები. კვლევითი ცენტრის PMCG-ის კვლევების ხელმძღვანელი, ქალბატონი თ.ჯუღელი თვლის, რომ საქართველოში, დღეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემო არ იძლევა საპენსიო სისტემის რეფორმირების წარმატების საფუძველს და ის მოლოდინი, რომელიც არსებობს კაპიტალის ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებით, გადაჭარბებულია. ზემოაღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით, რომელიც ყურადღებას ამახვილებს რეფორმის სავალდებულო ხასიათზე, ქალბატონი თ. ჯუღელი აცხადებს, რომ სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემა ვერ უზრუნველყოფს „ღირსეულ პენსიას“, რადგან დაბალი შემოსავლების გამო მოსახლეობა ვერ შექმნის მაღალ საპენსიო დანაზოგებს. მისივე განცხადებით, სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემა მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს მოიცავს (მხოლოდ საშემოსავლო გადასახადის გადამხდელებს) და მომავალში ვერ შეამცირებს საბიუჯეტო წნეხს.

თ.ჯუღელი თვლის, რომ მნიშვნელოვანია არასამთავრობო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფა და საზოგადოების/ბიზნეს სექტორის ინფორმირებულობის დონის ამაღლება ისეთი მნიშვნელოვანი რეფორმის განხორციელების ყველა ეტაპზე, როგორცაა საპენსიო სისტემა, რაც სამწუხაროდ არ ხორციელდება და კერძო-საჯარო დიალოგის ფორმატი, ფაქტობრივად, არაეფექტურია. იგი აქვე აღნიშნავს, რომ გამომდინარე რეფორმის მასშტაბისა და მნიშვნელობისა, კვლევითი ცენტრი მომავალშიც გააგრძელებს აქტიურ მუშაობას საპენსიო სისტემის რეფორმის საკითხზე.

რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევები.

ნებისმიერი ტიპისა და მასშტაბის რეფორმა დგას გარკვეული რისკებისა და გამოწვევების წინაშე, რომელიც მოითხოვს რეფორმის კონცეფციის ღრმა ანალიზს, შესაძლო შედეგების გათვალ-

ისწინებს, საფრთხეების კომპლექსურ გააზრებასა და ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად ეფექტური მექანიზმების შემუშავებას. საპენსიო სისტემის რეფორმა, თავისი არსით, ფართომასშტაბიანი ეკონომიკური პროექტია, რომელსაც მაღალი სოციალური მნიშვნელობა აქვს, მონყვლადია ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობების მიმართ და ხასიათდება მაღალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერესით.

ქვემოთ მოცემულია ის ძირითადი გამოწვევები, რომელიც საქართველოში დაგეგმილ საპენსიო სისტემის რეფორმას ახლავს თან:

საქართველო ისევ ღარიბი ქვეყნების სიაშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენს მოსახლეობას არ აქვს დოვლათის გადანაწილებისა და დაზოგვის პრობლემა იმდენად, რამდენადაც არ არსებობს გადასანაწილებელი/დასაზოგი დოვლათი. აქედან გამომდინარე, მოლოდინი, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღებით, პენსიაზე გასვლის შემდეგ, მიიღწევა მაღალი სოციალური კეთილდღეობა (საპენსიო რეფორმის სამსახურის უფროსის განცხადების თანახმად) არაადეკვატურია და არ ასახავს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური/ფინანსური მდგომარეობის რეალურ სურათს; საპენსიო რეფორმის სამსახურის უფროსის განმარტებით, ახალი საპენსიო სისტემა იქნება ნებაყოფლობით ელემენტზე დაფუძნებული და კონკ-

რეტულ ადამიანს შეეძლება უარი თქვას სისტემაში მონაწილეობაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნებაყოფლობითი ელემენტი შეეხება დასაქმებულს, მაგრამ სისტემაში მონაწილეობა სრულად სავალდებულოა დამსაქმებლისა და სახელმწიფოს მიმართ, რაც ქმნის დამაბრკოლებელ გარემოებას ბიზნესისათვის, რადგან დამსაქმებელს უნევს დასაქმებულის ყოველთვიური სარგოს 2%-ის მიმართვა მისი დაგროვებითი ანგარიშსაკენ. ფინანსური წნეხის შესამსუბუქებლად შესაძლოა დამსაქმებელმა მიმართოს სხვადასხვა გზებს, შეუმციროს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება და ამის ხარჯზე მოახდინოს 2%-ის გადარიცხვა დაგროვებით ანგარიშზე, რასაც საბოლოო ჯამში, კვლავ დასაქმებულის უფლების შეზღუდვასთან მივყავართ;

„ღირსეული სიბერის“ უზრუნველსაყოფად საჭიროა მაღალი შენატანების განხორციელება ყოველთვიურად, რაც შეუძლებელია მიიღწეს დაგეგმილი, 6%-ანი კონტრიბუციით. აღნიშნული ნათლად ჩანს პირველ გრაფიკზე: სავალდებულო საპენსიო დანაზოგების ადეკვატურობა – სცენარის სიმულაცია.

საპენსიო რეფორმის სამსახურის უფროსის, ბატონი ოთარ ძიძიკაშვილის განცხადებით, დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვას, პარალელურ რეჟიმში, მოყვება კაპიტალის ბაზრის

1 გრაფიკი: სავალდებულო საპენსიო დანაზოგების ადეკვატურობა – სცენარის სიმულაცია

დაშვებები	
საშუალო ხელფასი	900
შენატანი (ხელფასის %)	6%
რეალური საპროც. განაკ.	4%
ხელფასის რეალური ზრდა	5%
პენსიაზე ყოფნის წლები	15

საშუალო ხელფასი (ლარი)	
10 წლის შემდეგ	1,466
20 წლის შემდეგ	2,388
30 წლის შემდეგ	3,890
40 წლის შემდეგ	6,336

მაგალითად, თუ დასაქმებულის საწყისი ხელფასია 1000 ლარი, 20 წლიანი მუშაობის შემდეგ მას დაუგროვდება 34,940 ლარი, ამ თანხით მას შეუძლია 15 წლის განმავლობაში მიიღოს 262 ლარი (დღ. ფასებით) ყოველთვიურად, რაც 20 წლის შემდეგ საშუალო ხელფასის 11%-ია.

პენსია (ლარი)		საწყისი ხელფასი (ლარი)					
		500	800	1000	1500	2000	2500
მუშაობის წლები	10	42	67	84	126	168	211
	20	131	210	262	393	524	655
	30	306	489	611	917	1,222	1,528
	40	634	1,015	1,269	1,903	2,537	3,172

დაგროვილი თანხა (ლარი)		საწყისი ხელფასი (ლარი)					
		500	800	1000	1500	2000	2500
მუშაობის წლები	10	5,619	8,990	11,238	16,857	22,476	28,095
	20	17,470	27,952	34,940	52,411	69,881	87,351
	30	40,769	65,230	81,538	122,307	163,076	203,845
	40	84,633	135,413	169,266	253,899	338,532	423,165

ჩანაცვლების კოეფიციენტი		საწყისი ხელფასი (ლარი)					
		500	800	1000	1500	2000	2500
მუშაობის წლები	10	3%	5%	6%	9%	11%	14%
	20	5%	9%	11%	16%	22%	27%
	30	8%	13%	16%	24%	31%	39%
	40	10%	16%	20%	30%	40%	50%

წყარო: „სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემა – გამონვევები და საერთაშორისო პრაქტიკა“. www.pmcg-i.com

განვითარება საქართველოში, რაც ვფიქრობ, არასარწმუნოა, რადგან დღეს არსებული მდგომარეობით, საქართველოში კაპიტალის ბაზარი ჩანასახობრივ მდგომარეობაშია და 2017 წლისათვის ის კვლავ არ იქნება მზად იმისათვის, რომ კერძო საპენსიო ანაბრებზე არსებული თანხები საპენსიო ფონდმა, სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, განათავსოს კაპიტალის ბაზარზე;

რეფორმისათვის სერიოზულ გამოწვევას ქმნის საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საკითხი სისტემური ცვლილებების შესახებ, რომელიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც თუ წარმატებით ხორციელდება, რადგან მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი (დარგის სპეციალისტები) ფლობს ადეკვატურ ინფორმაციას რეფორმის თაობაზე. ვფიქრობ, სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას საპენსიო რეფორმის სამსახური, რომელმაც უნდა შეძლოს საზოგადოების სწორი ინფორმირებულობა რეფორმის აუცილებლობის, სარგებლისა და რისკების შესახებ.

საპენსიო სქემის განხორციელებაზე და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სსიპ „საპენსიო სააგენტო“ იქნება. საპენსიო აქტივების ინვესტირებაზე პასუხისმგებელი საინვესტიციო საბჭო იქნება, რომლის გადანაწევტილებით საპენსიო აქტივები სხვადასხვა დონის რისკიანობის ფინანსურ აქტივებში (დეპოზიტები, ობლიგაციები, აქციები და ა.შ.) განთავსდება.

3. დასკვნები და რეკომენდაციები.

- საქართველოში მმართველი პარტიის 2016 წლის საარჩევნო პროგრამაში (გვ. 16) და 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამაში (გვ. 19) წერია, რომ „ფართოდ დაინერგება რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) ინსტრუმენტი, რაც მოგვცემს საშუალებას, თითოეული გადანაწევტილების გავლენა ბიზნესზე იყოს წინასწარ გაანალიზებული“. რეგულირების გავლენის შეფასების გამოყენებას ითხოვს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაც (მუხლი 225). მიუხედავად ამისა, საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებული კანონპროექტი ისე შევიდა პარლამენტში, რომ რეგულირების გავლენის შეფასება არ ჩატარებულა. ეს იმ ფონზე, როდესაც რეფორმა გარკვეული რისკების მატარებელია. შესაბამისად, არ არის ნათელი, თუ რა სარგებელს მოუტანს ქვეყანას სავალდებულო დაგროვე-

ბით საპენსიო სისტემაზე გადასვლა და რატომ არის ის უალტერნატივო.

- ხელისუფლება ზოგადად ამბობს, რომ შემოთავაზებული საპენსიო სისტემა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ეფუძნება, თუმცა მნიშვნელოვანია დაასახელოს ერთი კონკრეტული ქვეყანა მაინც, რომლის გამოცდილებასთანაც ყველაზე ახლოს იქნება საქართველოს საპენსიო მოდელი. ამ დროს, გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაშიც კი სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემა არცთუ ისე წარმატებული აღმოჩნდა (მაგალითად, უნგრეთი, პოლონეთი).
- დამსაქმებელთა დავალდებულება, სავალდებულო წესით საპენსიო ფონდში მიმართოს 40-წლამდე დასაქმებულების შრომის ანაზღაურების 2%, ფაქტობრივად გადასახადის ხასიათს ატარებს და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, რომლის მიხედვითაც აქციზის გარდა ნებისმიერი ახალი გადასახადის შემოღება რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვს.
- შემოთავაზებული ინიციატივა ვერ უზრუნველყოფს ე.წ. „ღირსეულ პენსიას“, რადგან სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობის მხოლოდ 25% არის დაქირავებით დასაქმებული, 34% თვითდასაქმებულია, ხოლო 41% უმუშევარია ან სამუშაო ძალაში არ შედის. გასათვალისწინებელია, ისიც, რომ დასაქმებულთა 58.4% 40 და მეტი ასაკის ადამიანებია, რომლებზეც საპენსიო სქემაში ჩართვის ვალდებულება არ ვრცელდება. შედეგად, გამოდის, რომ სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემა სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობის მხოლოდ 10.5%-ზე გავრცელდება.
- „ღირსეულ პენსიის“ აღების საშუალებას არ იძლევა არსებული დაბალი ხელფასები. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი თვეში დაახლოებით 1000 ლარია. რაც ნიშნავს, რომ მომავალი 25 წლის განმავლობაში, თუ დაუშვებთ რეალური ხელფასის ყოველწლიურად 5%-ით ზრდას და რეალურ 5%-იან საინვესტიციო შემოსავალს, პენსიაზე გასვლის შემდეგ, დაგროვილი თანხიდან ყოველთვიური პენსია (15 წელზე) 210 ლარი იქნება. მთავრობის განცხადებით, დღევანდელი პენსია (180 ლარი) მინიმუმ დღევანდელი ღირებულებით შენარჩუნდება. გამოდის, რომ 25 წლის შემდეგ საშუალო პენსია იქნება

- 390 ლარი თვეში, რაც, საკმაოდ ოპტიმისტურ სცენარში, 25 წლის საშუალო ხელფასის 20%-იან, ხოლო ბოლო ხელფასის 12%-იან ჩანაცვლების დონეს უზრუნველყოფს. დღეს ჩანაცვლების საშუალო კოეფიციენტი 18%-ია. ასევე, დღეს რეალობაა, რომ დასაქმებულთა ნახევარზე მეტს ხელფასი თვეში 500 ლარი და ნაკლები აქვს. მათ, ზემოთ მოცემული დაშვებებით, 25 წლის შემდეგ პენსია თვეში 306 ლარი ექნებათ, რაც საშუალო ხელფასის 25.5%-იან, ხოლო ბოლო ხელფასის 15%-იან ჩანაცვლების დონეს უზრუნველყოფს. ამჟამად, ჩანაცვლების კოეფიციენტი არის 30%.
- შემოთავაზებული საპენსიო სისტემით, სახელმწიფო მოსახლეობაში სოციალურ უთანასწორობის ზრდას უწყობს ხელს. მომავალში სახელმწიფო დასაქმებულ და მაღალშემოსავლიან მოქალაქეებს თანხობრივად უფრო მეტ კონტრიბუციას გაუკეთებს პენსიაში, ვიდრე უმუშევრებს და დაბალშემოსავლიან მოსახლეობას. შესაბამისად, სხვა თანაბარ პირობებში, საპენსიო ასაკის მოსახლეობაში სოციალური უთანასწორობა გაიზრდება.
 - იზრდება საგადასახადო ტვირთი დასაქმებულზე (ფაქტობრივად, ხელფასიდან გადასახადი 20%-დან 23.2%-მდე იზრდება), რაც გააძვირებს სამუშაო ძალას და უარყოფითად იმოქმედებს დასაქმებაზე. შესაბამისად, ამ ნაწილში, ბიზნესს გარემო გაუარესდება.
 - შემოთავაზებულმა საპენსიო სისტემამ შეიძლება გამოიწვიოს არაფორმალური შრომითი გარიგებების დადება და ჩრდილოვანი ეკონომიკის ნახალისება.
 - სახელმწიფო ბიუჯეტს ემატება მნიშვნელოვანი ტვირთი (1-2%-იანი კონტრიბუცია საპენსიო სქემაში). ეს იმ ფონზე, როდესაც ბიუჯეტში ნარჩუნდება დღევანდელი საპენსიო ხარჯები და რომლის 20-30 წლის განმავლობაში მხოლოდ დაბალი ტემპით ზრდა (მსყიდველობითი უნარით თვითური პენსიის 180 ლარზე შენარჩუნება), დღევანდელი სოციალური ფონის და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, რეალურად შეუძლებლად მიგვაჩნია. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, დაგროვებითი საპენსიო სისტემით ფისკალური რისკების შემცირება სოციალური პენსიის ზრდის შენელებით ხდებოდა, რისი მზადყოფნის დეკლარირებაც მთავრობის მხრიდან არ მომხდარა.
 - სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სისტემაზე პოლიტიკურ ძალებს და საზოგადოებას შორის კონსენსუსი არ არის.
 - პარლამენტმა შეაჩეროს კანონი, სანამ რეგულირების გავლენის შეფასების კვლევა არ ჩატარდება. კვლევა უნდა მოიცავდეს სხვადასხვა ალტერნატიულ სცენარებს, სადაც ნაჩვენებია იქნება, რა ნაკლოვანებები და უპირატესობები აქვს დღეს არსებულ და შემოთავაზებულ მოდელს. შესწავლილი უნდა იყოს დაგროვებითი პენსიის სავალდებულო და არასავალდებულო მოდელების სხვადასხვა ვარიანტიც.
 - რომ არ მოხდეს სამუშაო ძალის გაძვირება, უმუშევრობის ნახალისება და დღეს არსებული განკარგვადი შემოსავლების შემცირება, საპენსიო შენატანის განხორციელება უნდა დაკომპენსირდეს საშემოსავლო გადასახადის შემცირებით. ამ შემთხვევაში კონსტიტუციის დარღვევის რისკიც მოიხსენება.
 - დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი და სქემაში ჩართვის ნახალისებისთვის, სახელმწიფოს შეუძლია შეიმუშაოს გარკვეული საგადასახადო შეღავათები (ეს შეღავათები უნდა გავრცელდეს კერძო საპენსიო სისტემაში ჩართვის შემთხვევებზეც). ნებაყოფლობითი დაგროვებითი პენსიის სამართლიანობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ „საპენსიო სისტემის რეფორმის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების“ კვლევის ფარგლებში გამოკითხული მოსახლეობის 65% სწორედ ნებაყოფლობითი სქემის მომხრეა.
 - საპენსიო რეფორმა არის ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმა. აქედან გამომდინარე, აუცილებელი იყო მეტი საჯარო დისკუსია დაინტერესებულ პირებთან, რომ რეფორმას ჰქონდეს ნდობა და იყოს მდგრადი გრძელვადიან პერიოდში.
 - და ყველაზე მთავარი: ასეთი ისტორიული ხასიათის რეფორმის გატარებისათვის, ჩვენი მოსაზრებით, მიზანშეწონილი იყო ქვეყანაში ჩატარებული რეფერენდუმი, ვინაიდან ახალ საპენსიო რეფორმას სოციალური ფონის რადიკალურად შეცვლა შეუძლია და მისი გატარება დიდ წინდახედულობასა და სიფრთხილეს მოითხოვს

ლიტერატურა/REFERENCES

- [1] ქოქიაური ლ. 2018. ფინანსები (სახელმძღვანელო 3 ტომად), ტ-3. გვ. 820.
- [2] <http://forbes.ge/news/638/dagrovebiTi-pensia-saqarTveloSi>
- [3] <http://www.tabula.ge/ge/story/126318-sapensio-reforma-sqema-romlitac-mtavrobas-tqveni-fulis-mitviseba-sheedzleba>
- [4] <http://eugeorgia.info/ka/articleblog/62/sapensio-reformis-dizaini-da-ideologia/>
- [5] <https://idfi.ge/ge/analysis-of-pension-system-reform>
- [6] <https://www.transparency.ge/ge/post/10-shenishvna-sapensio-repormaze>
- [7] http://www.bm.ge/ka/article/ra-weria-sapensio-reformis-shesaxeb-sakonstitucio-sarchelshi/28199?fbclid=IwAR0WiA-46noUbha5wz5mQgaC11HkC2j723WwtLC-zzQyPSJ_UaNdNyPuXFck
- [8] https://www.interpressnews.ge/ka/article/527800-sapensio-saagentos-direktoris-ganmartebit-sapensio-danazogebi-up-ro-metad-aris-daculi-vidre-sxva-aktivi-rogoricaa-saxli-mankana-bankshi-puli/?fbclid=IwAR2DsX_S52dmH0bR_9Rs7ez-JWoWgaiHr9Nyd_uagRWxV_Y-9ryShkjdXoBU
- [9] <https://commerciant.ge/ge/post/vato-surguladze-sapensio-reformaze-fulis-shegroveba-ukve-daiwyo-magram-am-fulma-ro-gor-unda-imushavos-gegma-djer-dawerili-ar-aris?fbclid=IwAR315xDRgTRO-p0BeDR-O2P2ZBpsXtIPFQqVh9SJ4-j8jzd-D4zRqsz5DPYo>
- [10] http://www.bm.ge/ka/article/sapensio-reforma-iwyeba---rogor-chamogechrebat-xelfasidan-savaldebulo-shesatani/28091/?fbclid=IwAR16gy-U0hb7vNyX_TTYIYsSjLLDdJpE95A2Hhbij50h8ehh7arDIC8lv8